



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი უმაღლესი საგანმანათლებლო
პროგრამის შესახებ

BFA ვიზუალური კომუნიკაცია (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი)

GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

2023 წლის 17 ივლისი

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა	19
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	26
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	30
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	39

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	GIPA - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	კოსტას მანტზალოსი, ფრედერიკის უნივერსიტეტი (პროფესორი), კვიპროსი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ხათუნა ხაბულიანი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ასოცირებული პროფესორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანა წერეთელი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია (ასოცირებული პროფესორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მიხეილ ბიჭია, ევროპის უნივერსიტეტი (პროფესორი)/ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მოწვეული ლექტორი), საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ჯავახიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

¹ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: გთხოვთ, მიუთითოთ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნულ პროგრამას. საიდენტიფიკაციო კოდისა და დაწესებულების ტიპის მიითითება სავალდებულო არ არის, თუ უსდ აღიარებულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	ვიზუალური კომუნიკაცია (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი)
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Visual Communication (Advertising and Communication Design)
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ხელოვნების ბაკალავრი ვიზუალურ კომუნიკაციაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	აუდიო-ვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება- 0211
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები)	შემოქმედებითი ტური

²თუ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად და მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება განსხვავდება, იგი მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულების მიხედვით.

³(მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**
- ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) არის ახალი პროგრამა, რომელიც გამომდინარეობს არსებული და ადრე აკრედიტებული პროგრამისგან, სახელწოდებით „აუდიოვიზუალური და მედია ხელოვნების ბაკალავრი“. პროგრამა შემუშავდა არსებული საბაკალავრო პროგრამის განხორციელების დროს მიღებული გამოცდილების, მსგავსი საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის, ასევე შემოქმედებითი ინდუსტრიის თანამედროვე ტენდენციებისა და სწრაფი ზრდის გათვალისწინებით და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა არის 3-წლიანი ციკლისგან შემდგარი პროგრამა, 180 ECTS-ით მოცულობით; ის კარგად არის სტრუქტურირებული თანდათან პროგრესირებადი კურსებით და მოიცავს როგორც თეორიას, ასევე პრაქტიკას. პროგრამა იყენებს სწავლების განახლებულ მეთოდოლოგიას, რომელიც ასევე იძლევა ექსპერიმენტული სწავლის საშუალებას ინდუსტრიიდან გამომდინარე კურსებით (ცოცხალი პროექტები), რომელიც მოიცავს სფეროებს, როგორცაა გრაფიკული და ციფრული დიზაინი, ტიპოგრაფია, ფოტოგრაფია, ვიდეო, ილუსტრაცია, ანიმაცია და ა.შ. ასევე ტექნოლოგიებს, ინოვაციური იდეების განსახორციელებლად და ა.შ.

- **ადგილზე ვიზიტის მიმოხილვა**
- დღის განმავლობაში შედგა შეხვედრები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ გუნდთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტთან. ასევე დაათვალიერეს სასწავლებლის ინფრასტრუქტურა და ობიექტები.
- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**
 - აღმოჩნდა, რომ ფაკულტეტის ყველა წევრი, მართვის უმაღლესი რგოლიდან დაწყებული მოწვეულ პერსონალამდე, უჭერდა მხარს ახალ პროგრამას. ექსპერტთა გუნდს შეხვდა ენთუზიასტი და მხარდამჭერი სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დაინტერესებული პირები და, ზოგადად, ცხადი გახდა, რომ დაწესებულება სტუდენტზე ორიენტირებული გარემოა, რომელიც ხელს უწყობს თანასწორობას, მრავალფეროვნებას და ინკლუზიურობას.
 - ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი შესწავლილი იქნა და დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა ნათლად ჩამოყალიბებული მიზნებითა და ამოცანებით, აგრეთვე სწავლებისა და სწავლის საქმიანობის მკაფიო აღწერილობით.
 - ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი საფუძვლიანი და ეფექტური ჩანდა.
 - დაწესებულება მხარს უჭერს სხვადასხვა ფაკულტეტს ხელოვნებისა და დიზაინის პრაქტიკის კუთხით.

- ახალი პროგრამისთვის არსებობს შესაბამისი საშუალებები. შესაძლოა ყურადღება მიექცეს შენობის მოვლას, რათა ის ვიზუალურად უფრო საინტერესო გახდეს.
- ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა ყველა სტანდარტს შეესაბამება. კერძოდ:
 - სტანდარტი 1: სრული შესაბამისობა
 - სტანდარტი 2: სრული შესაბამისობა
 - სტანდარტი 3: სრული შესაბამისობა
 - სტანდარტი 4: სრული შესაბამისობა
 - სტანდარტი 5: სრული შესაბამისობა
- **რეკომენდაციები**
 1. რეკომენდებულია, რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლების ზოგიერთი მეთოდის („ცოდნის ტესტირება“) დასახელების დაზუსტება, სწავლების მეთოდების სწორად გამოყენება და მათი შეფასების მეთოდებისგან გამიჯვნა.
 2. რეკომენდებულია, ხარისხის კონტროლის ღონისძიებების გაძლიერება პროგრამის გარკვეული სფეროების გასაუმჯობესებლად, როგორცაა: პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგის დადგენა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან უფრო თანამშრომლობითი პროცესების წარმართვა, სწავლების მეთოდების სათანადო გამოყენება და მათი გამოყოფა შეფასების მეთოდებისგან და ა.შ.
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**
 - 1. კარგი იქნება, თუ აუდიტორიუმში სტუდენტებისთვის შეიქმნება უფრო კრეატიული გარემო, სადაც შეძლებენ დააკვირდნენ საკუთარ ნამუშევრებს, შეხედონ საკუთარ თავს გარედან და აღმოაჩინონ საკუთარი ყოფნა გარემოში.
 - 2. პროგრამის განვითარების მიზნით, მომავალში, პროგრამის მონიტორინგისას აქცენტი უნდა გაკეთდეს შემოქმედებითი პოტენციალის და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე.
 - 3. სასურველია ბიუჯეტის ამსახველი დოკუმენტი უფრო დეტალურად იყოს გაწერილი და მოიცავდეს საჭირო კვლევითი საქმიანობის ხარჯებს (სამეცნიერო გრანტები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო მისიები და ა.შ.).
 - 4. სასურველია, რომ გარე შეფასების დოკუმენტები ასახავდეს პროგრამის შემუშავებისკენ მიმართულ რეკომენდაციებს.
 - 5. ინკლუზიურობის სრულად დანერგვის მიზნით ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ფიზიკური რესურსები.
 -
- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

"დამოუკიდებელი ექსპერტის" მონაწილეობა თვითშეფასების ჯგუფში ძალიან დადებითი პრაქტიკაა.

- ინფორმაცია უმაღლესი სასწავლებლის არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არგაზიარების შესახებ
- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოგვაწოდა უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია დასკვის პროექტთან დაკავშირებით და საბოლოო დასკვნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ მომზადებული დასკვნის პროექტში შეტანილი გარკვეული ცვლილებების შესახებ იმ რეკომენდაციების ფარგლებში, რომლებსაც იგი ეთანხმებოდა. მოკლედ წარმოვადგენთ ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას. კერძოდ:
 - **რეკომენდაცია N 1:** რეკომენდებულია, რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში სწავლების ზოგიერთი მეთოდის („ცოდნის ტესტირება“) დასახელების დაზუსტება, სწავლების მეთოდების სწორად გამოყენება და მათი შეფასების მეთოდებისგან გამიჯვნა.
 - **უნივერსიტეტის პოზიცია:** ერთ-ერთ სილაბუსში გამოვლინდა ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რომელსაც პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი იზიარებს. მართლაც, უკვე დაწყებულია სილაბუსში ტექნიკური ხარვეზის გამოსწორების პროცესი.
 - **ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია:** ექსპერტთა ჯგუფი მიესალმება უნივერსიტეტის წარმომადგენლების მიდგომას პროგრამის შემუშავებისა და ჩვენ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარებით. თუმცა, აკრედიტაციის ექსპერტების მუშაობის სფერო შემოიფარგლება ვიზიტამდე წინასწარ მიღებული მასალებით და ვიზიტის დღეს მიღებული პასუხებით. ვიზიტის შემდეგ ჩვენ ვერ ვიმსჯელებთ დაწესებულების მიერ განხორციელებულ ან განსახორციელებელ ღონისძიებებზე. ამიტომ, ეს რეკომენდაცია უცვლელი უნდა დარჩეს.
 - **რეკომენდაცია N 2:** საჭიროა მოხდეს შემდგომი გაუმჯობესებები ფიზიკური რესურსების ხელმისაწვდომობის კუთხით, რათა სრულად ჩამოყალიბდეს ინკლუზიურობა.
 - **უნივერსიტეტის პოზიცია:** ამასთან დაკავშირებით, გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ უნივერსიტეტის ხედვა და ღირებულებები ორიენტირებულია ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნასა და უწყვეტ განვითარებაზე. მოხარული ვართ აღვნიშნოთ, რომ თავად ექსპერტებმა ხაზი გაუსვეს უნივერსიტეტის ინკლუზიურ გარემოს, რაც დასტურდება ერთ-ერთი ციტატით: "ექსპერტთა გუნდს შეხვდა ძალიან ენთუზიასტი და მხარდამჭერი სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დაინტერესებული პირები და, ზოგადად, ცხადი იყო, რომ ინსტიტუტში არის სტუდენტზე ორიენტირებული გარემო, რომელიც ხელს უწყობს თანასწორობას, მრავალფეროვნებას და ინკლუზიურობას" (გვ. 5), ექსპერტთა ჯგუფის ანგარიშის პროექტის მიხედვით: „პროგრამა უზრუნველყოფილია შშმ პირებისთვის ადაპტირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მათი მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისად“ (გვ.35). რაც შეეხება ფიზიკური რესურსების ხელმისაწვდომობის შემდგომ განვითარებას, ვფიქრობთ, რომ ამ მიმართულებით ინკლუზიურობის განვითარება თითოეული ორგანიზაციისთვის უწყვეტი პროცესია, რასაც უნივერსიტეტი ითვალისწინებს თავისი საქმიანობისა და შემდგომი დაგეგმვის პროცესში. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ექსპერტთა ჯგუფის ეს რეკომენდაცია უფრო რჩევის ხასიათს უნდა ატარებდეს.
 - **ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია უნივერსიტეტის პასუხზე მე-2 რეკომენდაციაზე:** ექსპერტთა ჯგუფი აფასებს ინსტიტუტის ძალისხმევას გახადოს ფიზიკური რესურსები უფრო ხელმისაწვდომი და ინკლუზიური, ამიტომ აღნიშნული რეკომენდაცია გადაინაცვლებს რჩევებში. მიუხედავად ამისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პროცესი უნდა გააქტიურდეს და რაც შეიძლება მალე განხორციელდეს, რათა სიტყვა ინკლუზიურობა, რომელიც ნახსენებია ერთობლივი ანგარიშის მე-5 გვერდზე, სრულად შესრულდეს და

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ფიზიკური რესურსები ხელმისაწვდომი გახდეს.

- **რეკომენდაცია N 3:** რეკომენდებულია, ხარისხის კონტროლის ღონისძიებების გაძლიერება პროგრამის გარკვეული სფეროების გასაუმჯობესებლად, როგორცაა: პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგის დადგენა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან უფრო თანამშრომლობითი პროცესების წარმართვა, სწავლების მეთოდების სათანადო გამოყენება და მათი გამოყოფა შეფასების მეთოდებისგან და ა.შ.
- **უნივერსიტეტის პოზიცია:** ჩვენ ვერ დავეთანხმებით ანგარიშის პროექტში წარმოდგენილ N³ რეკომენდაციას, რადგან ეს პროცესები უნივერსიტეტში დიდი ხანია მიმდინარეობს, და წლების განმავლობაში დაამტკიცა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესების ეფექტურობა (იხ. უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია მოხსენებასთან დაკავშირებით).
- **ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია უნივერსიტეტის პასუხზე მესამე რეკომენდაციაზე:** ანგარიშში აისახა, რომ ვიზიტის დღეს ხაზგასმით აღინიშნა აკადემიური პერსონალის მეტი ჩართულობის აუცილებლობა, როგორც პროგრამის შემუშავებაში, ასევე პროგრამაზე მუშაობის ხარისხის უზრუნველყოფის მხარდაჭერაში. ასევე გაირკვა, რომ საბაკალავრო პროგრამის ზოგიერთ კურსს აქვს ხარვეზები სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, რასაც უნივერსიტეტი ეთანხმება. მე-3 რეკომენდაცია ლოგიკურად ასახავს, რომ ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით აუცილებელია უნივერსიტეტის მხრიდან კონტროლის გაძლიერება მათი განხორციელების უზრუნველსაყოფად. ამრიგად, როგორც ჩანს, უნივერსიტეტი ნაწილობრივ იზიარებს ამ რეკომენდაციას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეს რეკომენდაცია უცვლელი უნდა დარჩეს.
- **ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია არსებული მიღწევების ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, რეგულარულად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სასწავლო სფეროს სპეციფიკას, დონეს და საგანმანათლებლო პროგრამას; იგი განსაზღვრავს ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ერთობლიობას, რომელთა განვითარებაც უნდა მოხდეს კურსდამთავრებულებში. ინისინი ასევე ასახავს პროგრამის წვლილს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასებაში მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც დაიგზავნა ვიზიტამდე, ასევე ვიზიტის დროს გუნდის დისკუსიების შედეგებზე დაყრდნობით (რექტორატი, ადმინისტრაციის უფროსი და დეკანი, თვითშეფასების მომზადებაზე პასუხისმგებელი გუნდი, პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დაინტერესებული პირები და ხარისხის უზრუნველყოფა) დადგინდა, რომ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს დისციპლინის სპეციფიკას, აგრეთვე უნივერსიტეტის ხედვისა და მისიის ზოგად მიზანსა და ამოცანებს კურსდამთავრებულების ჩამოსაყალიბებლად, რომლებსაც შეუძლიათ იმოქმედონ როგორც მაღალპროფესიონალებმა შემოქმედებით ინდუსტრიაში, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამის მიზნები ასევე ჩამოყალიბდა სხვადასხვა ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტიტუტის პრაქტიკის გათვალისწინებით, რომელიც ახორციელებს მსგავს პროგრამებს და კონცენტრირებულია 3 მიმართულებაზე:

- საგანმანათლებლო საქმიანობა
- კვლევითი საქმიანობა
- ინტერნაციონალიზაცია

პროგრამის მიზნები ფოკუსირებულია სტუდენტების უნარის ჩამოყალიბებაზე, განივითარონ საბაზისო კვლევითი და პრაქტიკული უნარები, რაც მოიცავს პირველად და მეორად წყაროებთან მუშაობის უნარს, იდენტიფიცირებას, ანალიზს, ექსპერიმენტურებას, და პრობლემების გადაჭრის უნარს. პროგრამა ასევე მიზნად ისახავს კურსდამთავრებულს განუვითაროს კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის უნარი. სტუდენტები იძენენ ცოდნას და უნარებს როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო ხელოვნებისა და დიზაინის პრაქტიკაში და ხელს უწყობენ ქვეყნის კულტურულ განვითარებას.

მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნების წვლილი საზოგადოებაში განსაზღვრულია ვიზუალური კომუნიკაციისა და მედიის მრავალფეროვანი დისციპლინით, რაც ხელს უწყობს საზოგადოების ინტელექტუალურ განვითარებას და ახალგაზრდების აქტიურ ჩართვას თანამედროვე კულტურულ პროცესებში, ის ასევე აქტიურ როლს თამაშობს თანამედროვე საზოგადოების კულტურულ-ესთეტიკური განვითარების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის მისია;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- კითხვა-პასუხის სესიები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.gipa.ge

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.1 პროგრამის მიზნები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სასწავლო სფეროს სპეციფიკასთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასებაში მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც გაიგზავნა ვიზიტამდე, ისევე როგორც გუნდის დისკუსიების შედეგების საფუძველზე, დადგინდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის შემუშავებული და დაკავშირებულია ვიზუალური კომუნიკაციის სფეროს მოთხოვნებთან.

გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგები ნათელია და ითვალისწინებს ყველა იმ კომპონენტს, რაც სტუდენტებს სჭირდებათ იმისათვის, რომ გახდნენ პროფესიონალები უახლესი ცოდნითა და უნარებით მოცემული ინდუსტრიის სფეროში.

სწავლის შედეგების ფორმულირება იყო საფუძვლიანი ეტაპობრივი პროცესი და ითვალისწინებდა ვიზუალური კომუნიკაციის კონკრეტული დისციპლინის თავისებურებებს. ეს ეტაპობრივი პროცესი ასევე მოიცავდა დაინტერესებული პირების მონაწილეობას, კერძოდ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და დამსაქმებლებს/გარე შემფასებელს. სწავლის შედეგები სტუდენტებს უვითარებს პასუხისმგებლობის გრძობას, რათა უზრუნველყონ სწავლებისა და სწავლის მიმდინარე პროცესი დამთავრების შემდეგ. დასაფასებელია სურვილი, რომ ასწავლონ სტუდენტებს დამოუკიდებლად სწავლა.

გარდა ამისა, პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროს მოთხოვნებს და იძლევა სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას, ამავედროულად, სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის სპეციფიკას და შემოქმედებითი ინდუსტრიის მოთხოვნებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ადგილზე ვიზიტი
- კითხვა-პასუხის სესიები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან
- მსგავსი პროგრამების ანალიზი
- დარგობრივი მიშნული
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.gipa.ge

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრის, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზიტამდე გაგზავნილ თვითშეფასებაში მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ისევე როგორც ვიზიტის დროს გუნდის დისკუსიების შედეგების საფუძველზე, აღმოჩნდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები არსებობს და სისტემატურად ხორციელდება ბაკალავრიატის 3 წლიანი ციკლის განმავლობაში.

სწავლის შედეგები პერიოდულად ფასდება პროგრამის 3 წლიანი ციკლის განმავლობაში და ეს შეფასება ხორციელდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, ვიზუალური კომუნიკაციის სფეროს მახასიათებლების შესაბამისად. პროგრამამ გამოიყენა სამიზნე ნიშნულების დადგენა სხვა დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ მსგავს პროგრამებს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. გარდა ამისა, თითოეულ პროგრამას აქვს ნიშნული თითოეული სწავლის შედეგისთვის, რისი მონიტორინგიც ხდება სწავლის შედეგების შეფასებით მიღებული შედეგებით, ხოლო შედარებას ადგილი აქვს მაშინ, როცა ხდება სამიზნე ნიშნულების შეფასება.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს დახმარებას უწევენ სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და ანალიზისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში, ხოლო ფაკულტეტის ყველა წევრი - მუდმივი და მოწვეული - იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.

მოხდა სრული შემოწმება და შესაბამისობა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ჯგუფთან. შეფასება და გამოხმაურება მოიცავს კითხვარებს/ინტერვიუებს მასწავლებლებთან, სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან; დასკვნები გაანალიზებულია და ცნობილი ხდება ყველა დაინტერესებული პირისთვის.

GIPA-მ შეიმუშავა და დანერგა შეფასების წესი, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტში „ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი) სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“, რომელიც ითვალისწინებს შიდა თვითშეფასების პროცესს, რომელშიც მონაწილეები სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებია (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროგრამის ხელმძღვანელები, GIPA-ს ადმინისტრაცია);

დოკუმენტში ნათქვამია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შემდეგი ნაწილებისგან შედგება:

1. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება პირდაპირი მეთოდით; იგი მოიცავს სასწავლო გეგმის ანალიზს, რომელიც განსაზღვრავს, აძლევს თუ არა პროგრამა საკმარის შესაძლებლობებს სტუდენტებს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად; პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიას, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულების შემდეგ. შეფასების ფორმა მოიცავს კონკრეტულ კრიტერიუმებს (ესე, ვიქტორინა, პრეზენტაცია და ა.შ.), რომლითაც შეიძლება შეფასდეს კონკრეტული პროგრამის სწავლის შედეგი. სამიზნე ნიშნული არის კონკრეტულად დადგენილი ნიშნული, რომელიც ეფუძნება წარსულ გამოცდილებას, მონაცემთა ანალიზს და იძლევა პროგრამის გაუმჯობესების საშუალებას. მონაცემთა შეგროვების დრო არის პროგრამის კონკრეტული სემესტრის დასასრული სასწავლო კურსის გავლის პერიოდში, რომლითაც ხდება აღნიშნული სწავლის შედეგის შეფასება. პასუხისმგებელი პირები და მიღებული შედეგების ანალიზი ეხება პირს ან სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც პასუხისმგებელია შეგროვებული მონაცემების ანალიზსა და შეფასებაზე.

2. სწავლის შედეგების არაპირდაპირი შეფასება სტუდენტების თვითშეფასების გზით ნიშნავს, რომ ყოველი სემესტრის ბოლოს, მარტივი აღბათობით შეირჩევა სავალდებულო სასწავლო კურსზე რეგისტრირებული სტუდენტებიდან ყოველი მესამე, რომელიც შეაფასებს სწავლის შედეგების მიღწეულ დონეს თვითრეფლექსიის საშუალებით. შესაფასებელი კურსები სავალდებულო კურსებია. სტუდენტი აფასებს რაოდენობრივად (კითხვა „ა“ 0-დან 5 ქულამდე) და ხარისხობრივად (კითხვები „ა, ბ, გ“ - სიტყვიერად, 120-200 სიტყვამდე), თუ რამდენად მიღწეულია სწავლის შედეგი; კონკრეტული კურსის შეფასების რომელი კომპონენტია ამ სწავლის შედეგის მიღწევის/მიუღწევლობის წინაპირობა; რა ტიპის ამოცანები შეიძლება დაემატოს აღნიშნული სწავლის შედეგის მისაღწევად. თვითშეფასების შედეგები აჩვენებს, რომ საშუალო მაჩვენებელი - 3.1 და ზემოთ, არის რაოდენობრივი მონაცემების სამიზნე ნიშნული; თვისებრივი მონაცემები გამოიყენება კურსის შემუშავებაში და ფიქსირდება კონკრეტული სწავლის შედეგის შეფასების მონაცემებში. ამ პროცედურაზე პასუხისმგებელია სასწავლებლის ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი.

3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ამჟამინდელი და პოტენციური დამსაქმებლების მიერ ნაჩვენებია ორ ნაწილად დაყოფილი რუკის მეშვეობით (თითოეული ერთი ტიპის დამსაქმებლისთვის), სადაც დამსაქმებლებმა უნდა შეაფასონ ცხრილში მოცემული თითოეული კომპეტენცია: კომპეტენციის დონე (არ არის დამაკმაყოფილებელი, მეტნაკლებად არადააკმაყოფილებელი, დამაკმაყოფილებელი, სრულად დამაკმაყოფილებელი), რომელსაც ფლობს კურსდამთავრებული და სოციალური მეცნიერებების დარგისათვის ჩამოთვლილი კომპეტენციების მნიშვნელობა. *სასურველია ამ ნაწილის დეტალურად გაფართოება.*

4. ფოკუს ჯგუფები იმართება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს და მასში მონაწილეობენ პროგრამის სხვადასხვა სემესტრის სტუდენტები; კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ფოკუს ჯგუფი იმართება ყოველი სასწავლო წლის ბოლოს. სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს ეკითხებიან პროგრამის, მისი შედეგების, საგანმანათლებლო პროგრამის პოზიტიური და გასაუმჯობესებელი ასპექტების შესახებ; ფოკუს ჯგუფის ფარგლებში ასევე შესაძლებელია დამატებით განიხილონ სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს, რომ სისტემატიურად აქვთ კომუნიკაცია და უკუკავშირი პროგრამების ხელმძღვანელებთან, სხვადასხვა ლექტორებთან, რათა მუდმივად იყვნენ ინფორმირებულნი სწავლის შედეგების მიღწევის პროცესის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების ჩათვლით;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- ადგილზე ვიზიტი სტუდენტებთან, პერსონალთან, დამსაქმებლებთან ინტერვიუს ჩათვლით;
- კითხვა-პასუხის სესიები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია SER-ის მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (ელ. სწავლა და ა.შ.);
- შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების საჭიროებების ან/და შესაბამისი ინფორმაციის ანალიზი;
- მსგავსი პროგრამების ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასებების შედეგების ანალიზი.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- კარგი იქნება, თუ აუდიტორიუმში სტუდენტებისთვის შეიქმნება უფრო კრეატიული გარემო, სადაც შეძლებენ დააკვირდნენ საკუთარ ნამუშევრებს, შეხედონ საკუთარ თავს გარედან და აღმოაჩინონ საკუთარი ყოფნა გარემოში.
- პროგრამის განვითარების მიზნით, მომავალში, პროგრამის მონიტორინგისას აქცენტი უნდა გაკეთდეს შემოქმედებითი პოტენციალის და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

- პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი იმგვარადაა შემუშავებული, რომ უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასებაში მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც გაიგზავნა ვიზიტამდე, ასევე ვიზიტის დროს გუნდის დისკუსიების შედეგებზე დაყრდნობით (რექტორატი, ადმინისტრაციის უფროსი და დეკანი, თვითშეფასების მომხადებზე პასუხისმგებელი გუნდი, პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დაინტერესებული პირები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) აღმოჩნდა, რომ 3- წლიანი ციკლისგან შემდგარ ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამას აქვს მყარი და ძალიან მკაფიო სტრუქტურა, რამაც შეიძლება უზრუნველყოს მრავალმხრივ განვითარებული და კომპეტენტური ვიზუალური კომუნიკატორების ჩამოყალიბება შემოქმედებით ინდუსტრიაში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. ამ სტრუქტურის შექმნისას მთელი ძალისხმევა დაიხარჯა იმაზე, რომ იგი საქართველოში მოქმედი რეგულაციებისა და კანონმდებლობის შესაბამისი ყოფილიყო. გარდა ამისა, პროგრამის სტრუქტურა სრულად შეესაბამება ბოლონიის პროცესს და კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას.

პროგრამის სტრუქტურა შემუშავდა სხვადასხვა მოსაზრების გათვალისწინებით, მათ შორის აკადემიკოსების, სტუდენტების/კურსდამთავრებულების და დაინტერესებული პირების ჩათვლით, და მოხდა მისი შეფარდება ევროკავშირისა და აშშ-ს სხვადასხვა ავტორიტეტულ დაწესებულებასთან.

შინაარსი და სტრუქტურა შედგება თეორიისა და პრაქტიკის ძალიან კარგი ბალანსისაგან, რაც საშუალებას იძლევა სათანადოდ განვითარდეს სწავლებისა და სწავლის პროცესი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების გამოყენებით.

GIPA-ს ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამას გაცხადებული აქვს თავისი მისია, რომ ახალგაზრდებს შესძინოს საუკეთესო შემოქმედებითი და პრაქტიკული ცოდნა მათი პიროვნული განვითარებისთვის, ინტელექტუალური, პირადი და პროფესიული წარმატებისთვის. პროგრამა, ისევე როგორც მისი წინამორბედი მედია ხელოვნების პროგრამა (აუდიო-ვიზუალური და მედია ხელოვნების პროგრამა), საქართველოში, ძალიან ახალგაზრდა სარეკლამო/საკომუნიკაციო კრეატიული ინდუსტრიის მოთხოვნაზე გამომხაურებას წარმოადგენს და ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამისა და საკომუნიკაციო დიზაინი) საბაკალავრო პროგრამის მთავარი მიზანია ამ ინდუსტრიის განვითარება და გაძლიერება. ვიზიტის დროს ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა თვითშეფასების დოკუმენტი, რომ პროგრამის შინაარსისა და სტრუქტურის შექმნისას გათვალისწინებული იყო სამიზნე ჯგუფების (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და ა.შ.) მოსაზრებები. მხოლოდ დამსაქმებლებმა გამოთქვეს მოსაზრება პროგრამის გაუმჯობესების თაობაზე კრეატიულობის გაზრდის თვალსაზრისით, რადგან თანამშრომლების ტექნიკური უნარები მათ დამაკმაყოფილებლად შეაფასეს.

საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ექვსი (6) სემესტრისაგან, რომლის განმავლობაშიც სტუდენტი გაივლის 180 კრედიტს. პროგრამის სტრუქტურა შედგება 10 განყოფილებისგან/ (ნაწილისგან), რომლებიც განაწილებულია ექვს სემესტრზე და თანდათანობით ვითარდება

მარტივიდან რთულამდე სწავლის 3 საფეხურის განმავლობაში: პირველი ეტაპი (I-II სემესტრი) 68 კრედიტი - სავალდებულო საფუძვლები (ვიზუალური კომინიკაციის შესავალი, შემოქმედებითი უნარების, ტექნიკური უნარების შესავალი); ინგლისური - 8 კრედიტი. ინგლისური სავალდებულოა სტუდენტებისთვის, რომლებიც პრეტესტის შედეგად აჩვენებენ ენის ცოდნას B1/B2 დონეზე, ხოლო FCE, CAE დონის სტუდენტებისთვის სასერტიფიკატო გამოცდა ცალკე დაინიშნება. მეორე ეტაპი (III-IV სემესტრი) 59 კრედიტი - სავალდებულო პროფესიული საგნები (შემოქმედებითი, ტექნიკური უნარების განვითარება), მესამე ეტაპი (V-VI სემესტრი) 33 კრედიტი - პროფესიული გამოცდილება (მოწინავე შემოქმედებითი, მოწინავე ტექნიკური უნარები, ლიდერობა). დასკვნითი ეტაპი, როდესაც სტუდენტები მუშაობენ რეალურ პროექტებზე/ე.წ. „ბრიფზე“, შემუშავდა პარტნიორ კომპანიებთან ერთად. თავისუფალი კრედიტები - 20 კრედიტი. სტუდენტი (სწავლის მესამე საფეხურზე) ირჩევს მისთვის საინტერესო საგნებს ან მოდულებს პროგრამიდან (12 კრედიტი) ან უნივერსიტეტის სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან (8 თავისუფალი კრედიტი).

პროგრამა მრავალფეროვანია თავისი შინაარსით, მოიცავს ვიზუალურ კვლევებს, ვიზუალურ ხელოვნებაში მნიშვნელოვან საკითხებს, ფოტოგრაფიას, ვიდეო ხელოვნებას, ნახატს, ვიზუალურ თხრობას, გრაფიკულ დიზაინს და ა.შ. შინაარსობრივად ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სასწავლო კურსები დაჯგუფებულია, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს გაიღრმავონ ცოდნა თავიანთი ინტერესების შესაბამისად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში საგანმანათლებლო პროგრამისა და სილაბუსების ჩათვლით;
- აკრედიტაციის ვიზიტისას ჩატარებული გასაუბრებები აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან;
- კითხვა-პასუხის სესიები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- პროგრამის ამოცანებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (ელ. სწავლა და ა.შ.);

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

. არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასებაში მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც გაიგზავნა ვიზიტამდე, ისევე როგორც გუნდის დისკუსიების შედეგების საფუძველზე, დადგინდა, რომ ვიზუალური კომუნიკაციის 3 წლიანი ციკლისგან შემდგარი საბაკალავრო პროგრამა და კონკრეტულად, მისი კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევებს. სილაბუსები კარგად არის განსაზღვრული და ნათლად აღწერს სწავლებისა და სწავლის პროცესს. ყველა სასწავლო მასალა, როგორცაა ბიბლიოგრაფია, IT სერვისები და სხვა მასალები მითითებულია სილაბუსებში.

პროგრამის შესაბამისობა ბოლონის პროცესთან ასევე ამტკიცებს და ამართლებს ურთიერთმიმართებას შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის. პროგრამა მოიცავს 180 ECTS–ს, რაც შეესაბამება 60 ECTS–ს ყოველწლიურად და ითვალისწინებს საკონტაქტო საათებს, ასევე სტუდენტების პერსონალურ დროს თითოეული კურსის მიზნების მისაღწევად. 1 ECTS შეესაბამება 25-30 სასწავლო საათს.

პროგრამის დასახული მიზნები სრულად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც, თავის მხრივ, აისახება და იშლება თითოეული საგნის/კურსის მიზნებსა და სწავლის შედეგებში. ძირითადი სასწავლო სფეროების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის/ავტონომიურობის თვალსაზრისით. თითოეული აკადემიური კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება შესაბამისი პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც აისახება პროგრამის სწავლის შედეგებში. თითოეული კურსის/კომპონენტის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგები ფასდება შეფასების სისტემაში განსაზღვრული კომპონენტებისა და კრიტერიუმების/რუბრიკების საფუძველზე. აღნიშნული სისტემა დეტალურად არის აღწერილი კურსის სილაბუსებში, როგორც ისინი ჩამოთვლილია თვითშეფასების დანართში. თითოეული პროგრამის ყველა კურსი კარგად არის შესწავლილი და აქტუალურია შესაბამისი თანამედროვე ტენდენციებისა და უახლესი ტექნოლოგიების

გათვალისწინებით. სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო რესურსი შეესაბამება დარგის სფეროში არსებულ მიღწევებს და ასევე ითვალისწინებს უახლეს კვლევებს შესაბამის სფეროში აკადემიური კურსის სპეციფიკის, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გათვალისწინებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- კითხვა-პასუხის სესიები რექტორატთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და დეკანთან, გუნდთან, რომელიც პასუხისმგებელია თვითშეფასების მომზადებაზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დაინტერესებულ პირებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- კურსის სილაბუსები;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი და სხვა ციფრული პლატფორმები (ელ. სწავლა და ა.შ.);

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

. არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების შეფასების ადეკვატურობა

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უმალეს სასწავლებელს აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს პროგრამაში შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირების ჩართვას სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

GIPA-ს ჩამოყალიბებული აქვს შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს პირთა სათანადოდ ჩართვას პროგრამაში სწავლის შედეგებით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების მისაღებად. ისინი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და GIPA-ს შიდა რეგულაციებს. ვიზუალური კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების და შიდა შემოქმედებითი კონკურსის შედეგების საფუძველზე სწავლის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელსაც აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ატესტატი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტი. აპლიკანტი ეროვნული გამოცდების ფარგლებში აბარებს ქართულ ენასა და ლიტერატურას, და უცხო ენას – ინგლისურს. ვიზუალური კომუნიკაციის კვალიფიკაციის მისაღებად საჭიროა აპლიკანტმა აირჩიოს და ჩააბაროს არანაკლებ ერთი არჩევითი საგანი, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და განათლების სფეროში სახელმწიფო გრანტების განაწილების დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გაცემული 2011 წლის 18 თებერვლის N19/N ბრძანების N3 დანართის შესაბამისად. ინგლისური ენის გამოცდაში კომპეტენციის მინიმალური დონე/ზღვარი არის 50%. პროგრამაზე დაშვების შესახებ ინფორმაცია, წინაპირობები და პროცედურები განთავსებულია GIPA-ს ვებგვერდზე და საჯარო და ხელმისაწვდომია ყველასათვის.

GIPA-ს თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ სტუდენტების მიღება მიმდინარეობს აქტიური სტუდენტების კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიითა და წესით, რაც სრულად შეესაბამება დარგის სპეციფიკას და ინსტიტუტში არსებულ მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს; პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის შინაარსს, სწავლის შედეგებს, განათლების დონეს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების ენას.

უნივერსიტეტში ასევე იმართება ღია კარის დღეები, სადაც დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელისა და დარგის წამყვანი სპეციალისტებისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;

- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ცოდნის შეფასების სისტემა;
- საგანმანათლებლო პროცესის რეგულაციები;
- ვებგვერდი: www.gipa.ge.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზუალური კომუნიკაციები არის მულტიდისციპლინური სფერო, რომელიც აერთიანებს ისტორიული ხელოვნების გამოცდილებას თანამედროვე პროგრამულ აპლიკაციებთან, რათა შექმნას გამოსახულებები, რომლებიც გამიზნულია მესიჯად გარდაქმნისთვის. ამ ძირითადი მტკიცებულების მიხედვით, GIPA-ს პროგრამა ახორციელებს ძირითად კურსებს ხატვის, ხელოვნების ისტორიისა და დიზაინის საფუძვლებში. კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუების შესაბამისად, პროგრამა წარმატებულია ტექნიკურ უნარებში და მას სჭირდება წახალისება მხატვრული ხედვისა და შემოქმედების მრავალფეროვნების განვითარებაში. ზოგიერთ სილაბუსში საკითხავი მასალა არის ინტერნეტ ენციკლოპედიური წყაროები აკადემიური/კვლევითი გამოცემების ნაცვლად. სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტები შედარებით ნაკლებად არიან ჩართულნი სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში და პროგრამის თეორიული ნაწილი უფრო ინფორმაციული და ნაკლებად ანალიზურია. კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროებისა და ინდიკატორების ანალიზმა, ასევე ინტერვიუებმა სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

აჩვენა, რომ კურსდამთავრებულები ძირითადად დასაქმებულნი არიან გრაფიკული დიზაინის კონკრეტულ სფეროში, ისინი საკმაოდ კარგად ეგუებიან შეზღუდულ და ცვალებად შრომის ბაზარს, რაც ადასტურებს, რომ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგები და, განსაკუთრებით, ტრანსფერული უნარები რეალურად მიღწევადია.

საგანმანათლებლო პროგრამისა და ინტერვიუების განხილვის შედეგად ჩანს, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული კრეატიული სააგენტოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამისა და საკომუნიკაციო დიზაინის) საბაკალავრო პროგრამის მიზნების მიღწევაში, რომლებიც მუდმივად ხელს უწყობენ სტუდენტების, სტუდენტთა სააგენტოს ან დამოუკიდებლად დასაქმების განვითარებას (კონკრეტული პროექტის ფარგლებში მუშაობა), ეხმარებიან პორტფოლიოს ჩამოყალიბებაში ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ამ დარგის პროფესიონალისთვის. ადმინისტრაცია, ლექტორები და კომპანიები სწავლის პერიოდშივე რთავენ სტუდენტებს რეალურ პროექტებსა და კონკურსებში. მათ ასევე აქვთ სავალდებულო ტრენინგები შემოქმედებით სააგენტოებში, დიზაინ სტუდიებში და სარეკლამო კომპანიებში. პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია კლასგარეშე აქტივობები, რომლებიც ხორციელდება GIPA-ს ART FACTORY-ის ფარგლებში: ყოველწლიური პორტფოლიოს მიმოხილვა დაფინანსების მოსაპოვებლად, რომელიც განსაზღვრულია 3 კატეგორიაში, საუკეთესო პორტფოლიო - შეფასება A, შეფასება B, შეფასება C.; სტიპენდია ხელოვნების დირექტორებისთვის, მედია ხელოვნების კურსდამთავრებულებისთვის (ხელოვნების დირექტორები, დიზაინერები); ფონდი, რომელსაც მართავს წარმომადგენელი, სანდო გუნდი და სტიპენდიების მინიჭება ხორციელდება მათი საკუთარი შეხედულებისამებრ. ურთიერთობა რეალურ მომხმარებლებთან, არჩევითი ლაბორატორიებისა და სტუდენტური სააგენტო Art Factory-ის ფარგლებში. ყოველთვიური სააგენტოს დღე, რომლის დროსაც სტუდენტები ხვდებიან სხვადასხვა შემოქმედებითი სააგენტოების წარმომადგენლებს, რათა განიხილონ მსოფლიოს საუკეთესო მაგალითები, ერთმანეთს გაუზიარონ, განიხილონ და გააანალიზონ ქართული სარეკლამო თუ საბრენდინგო პროექტები. ადგილობრივი და საერთაშორისო კონკურსების სტუდენტური კატეგორია, შემოქმედებითი პროექტები Young Lions Competition „ახალგაზრდა ლომების კონკურსი“.

www.marketer.ge/category/cannes-lions/, www.youngglory.com, www.red-dot.org/bcd www.dandad.org
www.dandad.org/profiles/jury/90138/future-impact-2022/?fbclid=IwAR02i6AV-ZDosqDBzt3NG6iaNIZD-jOoWyZKMQMuee2ZfjzOKXuZgDPejc <https://www.dandad.org/en/d-ad-new-blood-awards/>

ასევე ინტერვიუს დროს პროგრამის ხელმძღვანელებმა გაგვაცნეს მუზეუმებთან თავიანთი საგანმანათლებლო თანამშრომლობის შესახებ. პროექტის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება მიეცათ ემუშავათ მუზეუმის საგანმანათლებლო პროგრამის მოდელზე. ეს ყველაფერი ხელს უწყობს სტუდენტის პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- საბოლოო პორტფოლიოს სტანდარტი.

რეკომენდაციები:

○ არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

○ არ არის მითითებული
შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება
2.2.პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები;

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

რამდენიმე კურსის სილაბუსებიდან ჩანს, რომ დგას სწავლების მეთოდების გამოყენების საკითხი: სწავლების მეთოდი არის მასალის მიწოდების ერთგვარი სისტემატური გზა ან ტექნიკა, რომელიც ეხმარება ლექტორს სასწავლო პროცესის სწორად წარმართვაში და სტუდენტებს შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებაში. აქტივობას განსხვავებული შინაარსი აქვს - იგი მოიცავს დავალების შესრულებას. თუმცა, როგორ ან რა საშუალებებით ასრულებს სტუდენტი დავალებას, არის სწავლის მეთოდი (და არა აქტივობა).

ამ თვალსაზრისით, შესაცვლელია წარმოდგენილი პროგრამის ზოგიერთი კურსის სილაბუსი. მაგალითად, „ცოდნის ტესტი“ წარმოდგენილია როგორც „სწავლების ფორმა ან მეთოდი“ შემდეგი კურსების სილაბუსებში: „ვიზუალური თხრობა“, „ხატვა“, „ვიზუალური ენა ნაწილი 1“ და ა.შ. გაუგებარია რას ნიშნავს ეს მეთოდი. კატეგორია „ცოდნისა და უნარების ტესტირება“ საგნის „ვიზუალური ენა ნაწილი 1“ სილაბუსში ორ კომპონენტს მოიცავს: (1) „კრეატიული დავალების შესრულება“ და (2) „შუალედური და საბოლოო პროექტის შესრულება“. სასწავლო კურსის –„მსოფლიო ხელოვნება“ სილაბუსში „სწავლების ფორმები და მეთოდები“ მოიცავს „შემენილი ცოდნის შემოწმებას და კონსოლიდაციას“. აქ ქვიზი, პრეზენტაცია, ანალიტიკური ესე წარმოდგენილია როგორც „შემენილი ცოდნის ტესტირებისა და კონსოლიდაციის“ ფორმები. თუმცა, ეს არის შეფასების მეთოდები და არა სწავლების მეთოდები. ამიტომ აუცილებელია რამდენიმე კურსის სილაბუსში სწავლების მეთოდების სწორად გამოყენება და მათი გამოყოფა შეფასების მეთოდებისგან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი);
- თვითშეფასების ანგარიში;
- სწავლების მეთოდები;
- კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსებში სწავლების ზოგიერთი მეთოდის („ცოდნის ტესტირება“) დასახელების დაზუსტება, სწავლების მეთოდების სწორად გამოყენება და მათი შეფასების მეთოდებისგან გამიჯვნა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

2.4. სტუდენტის შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

GIPA-ს ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამის (შემდგომში – პროგრამა) აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, სხვა დოკუმენტებისა და ადგილზე ვიზიტის დროს მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე დგინდება, რომ სტუდენტის შეფასება ხდება დადგენილი პროცედურების დაცვით. ის გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

პროგრამის შეფასების პროცედურები ექვემდებარება დადგენილ წესებსა და რეგულაციებს. პროგრამა ემორჩილება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესს“, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ შეფასებას.

პროგრამის ფარგლებში თითოეული აკადემიური კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები შეესაბამება საგნის სპეციფიკას და სწავლის გამოწვეულ შედეგებს. შეფასების ფორმები, კომპონენტები და კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომი და სტუდენტებთან წინასწარ შეთანხმებული. კურსის თითოეული სილაბუსი ასახავს შეფასების კომპონენტებს და შეფასების კრიტერიუმებს, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გაიგონ, როგორ შეფასდება მათი ცოდნა და მუშაობა.

სტუდენტები იღებენ უკუკავშირს თავიანთი სწავლის შედეგების, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. ლექტორები აწვდიან უკუკავშირს შუალედური და საბოლოო გამოცდების შემდეგ, განიხილავენ აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების გზებს. შეფასების შედეგები გაანალიზდება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ხარისხის მუდმივ ამაღლებას.

სტუდენტების შეფასებისას GIPA იყენებს აკადემიური და კვლევითი ეთიკის, აკადემიური კეთილსინდისიერების, პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმებს. უნივერსიტეტი ხაზს უსვამს აკადემიურ კეთილსინდისიერებას და პლაგიატის გამოვლენისა და პრევენციისათვის, ატარებს შესაბამის ზომებს.

GIPA უზრუნველყოფს შეფასების გასაჩივრების გამჭვირვალე და ობიექტურ პროცესს. სტუდენტებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ შეფასების შედეგები შედეგების გამოცხადებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში. პროგრამა საშუალებას იძლევა სტუდენტის ნამუშევარი გადაიხედოს დამოუკიდებელი ექსპერტის ან ექსპერტთა ჯგუფის მიერ. გასაჩივრების შემდეგ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და შემდგომ გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

საჭიროების შემთხვევაში, პროგრამა ახორციელებს სტუდენტის შეფასებას ელექტრონული სწავლების ან დისტანციური სწავლების მეთოდების გამოყენებით, კომპონენტის სპეციფიკისა და შინაარსის გათვალისწინებით. ეს მიდგომა უზრუნველყოფს მოქნილობას და ადაპტირებას შეფასების პროცედურებში, განსაკუთრებით ისეთ სიტუაციებში, რომლებიც საჭიროებს დისტანციურ სწავლებას.

პროგრამა მუდმივად ახორციელებს სტუდენტთა შეფასებების სანდოობისა და მართებულობის მონიტორინგს, თუნდაც ელექტრონული სწავლების ან დისტანციური სწავლების დროს. ამით უნივერსიტეტი აჩვენებს თავის ერთგულებას შეფასების პროცესების ხარისხისა და სანდოობის დაცვის მიმართ.

GIPA ითვლის სტუდენტების საშუალო შეწონილ ქულას (GPA), როგორც ცოდნის შეფასების სისტემის ერთ-ერთ კომპონენტს. GPA-ის გაანგარიშება გამჭვირვალეა და მიჰყვება წინასწარ განსაზღვრულ ფორმულას მიღებული ქულების და შესაბამისი კრედიტების საფუძველზე.

მთლიანობაში, GIPA—ს ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა სრულად შეესაბამება მოცემული აკრედიტაციის სტანდარტს. პროგრამის შეფასების პროცედურები კარგად არის სტრუქტურირებული, რაც უზრუნველყოფს სამართლიანობას, გამჭვირვალობას და სწავლის გამიზნულ შედეგებთან შესაბამისობას. გარდა ამისა, შეფასების შედეგების ანალიზის საშუალებით, უნივერსიტეტი ავლენს თავის მზადყოფნას გაუმჯობესების მუდმივი პროცესისადმი. გასაჩივრების პროცესი გამჭვირვალეა და დაცულია სტუდენტთა უფლებები. პროგრამის მიერ ელექტრონული სწავლებისა და დისტანციური სწავლების მეთოდების გამოყენება ასახავს მის ადაპტირებას ცვალებად გარემოებებთან. და ბოლოს, უნივერსიტეტის აქცენტი აკადემიურ კეთილსინდისიერებაზე და პლაგიატის პრევენციაზე ზრდის შეფასების სისტემის სანდოობას.

ფორმალურად, პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები სტუდენტზეა ორიენტირებული და სრულად შეესაბამება განათლების შესაბამის დონეს, საგანმანათლებლო კურსების შინაარსსა და სტრუქტურას, და უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება მიმდინარეობს ლექციების, სემინარების, პრაქტიკული სამუშაოების ფორმატში. კურსებში გამოყენებული საგანმანათლებლო მეთოდები შეესაბამება საგანმანათლებლო კურსის მიზნებსა და შედეგებს და უზრუნველყოფს როგორც დარგობრივი, ასევე ტრანსფერული უნარების განვითარებას (მაგალითად, ანალიტიკური, კრიტიკული, პრობლემის გადაჭრის, კომუნიკაციური, ტექნოლოგიური, პრეზენტაციის უნარები და ა.შ.), აგრეთვე, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის კომპეტენციების ჩამოყალიბებას. პროგრამების ფარგლებში, სწავლა-სწავლების დროს გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ლექცია-სემინარები, სწავლა საქმით, კრიტიკული დისკუსია, ქვიზი, ინტერაქტიული ლექცია, ელექტრონული სწავლება და რეკომენდებულია, რომ ისინი უფრო დეტალურად იყოს გაწერილი სილაბუსში. დანერგილი სწავლის/სწავლების მეთოდების მოქნილობა და ეფექტურობა, როგორც ჩანს, კარგი აღმოჩნდა პანდემიის პერიოდში სირთულეების დამლევაში საწყის ეტაპზე. როგორც კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გამოკითხვებმა და ინტერვიუებმა აჩვენა, ზოგადი კრიზისის დროს GIPA-მ მოახერხა სწრაფი რეაგირება მოეხდინა საწყის ნაკლოვანებებზე და დანერგა სასწავლო სფეროს შესაბამისი ელექტრონული/დისტანციური სწავლების მეთოდები, პროგრამის შესაბამისად, სწავლის შედეგების შეუცვლელად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- გასაუბრებები;
- სასწავლო პროცესის რეგულირება;
- გამოცდების ჩატარების პროცედურები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
2.4. სტუდენტების შეფასება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, დაუფლების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა (რეკლამა და კომუნიკაციის დიზაინი) შესაბამის მხარდაჭერას და კონსულტაციას უწევს სტუდენტებს მთელი სწავლის პერიოდში. უნივერსიტეტი აქტიურად არის ჩართული სტუდენტთათვის ყოვლისმომცველი სერვისების შეთავაზებაში, რათა ხელი შეუწყოს აკადემიურ მოსწრებას, კარიერულ განვითარებას და შიდა საუნივერსიტეტო საზოგადოებაში ინტეგრაციას.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტების წვდომას საკონსულტაციო სერვისებზე, რათა გააუმჯობესონ აკადემიური მოსწრება და ეფექტიანად დაგეგმონ საგანმანათლებლო გზა. სტუდენტების კონსულტირების პროცესში აქტიურად არიან ჩართულები პროგრამის ხელმძღვანელები, ლექტორები, კოორდინატორები და ადმინისტრაციული პერსონალი. რეგულარული შეხვედრები და ეფექტური გამოხმაურების მექანიზმები გამოიყენება სწავლის შედეგების გასაუმჯობესებლად და სტუდენტების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

უნივერსიტეტი აქტიურ ნაბიჯებს დგამს სტუდენტების, მათ შორის საერთაშორისო სტუდენტების, შიდა საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციისთვის. ახლად ჩარიცხული სტუდენტებისთვის იმართება საორიენტაციო და გაცნობითი შეხვედრები, სადაც ისინი იღებენ მნიშვნელოვან ინფორმაციას საუნივერსიტეტო გარემოს, აკადემიური პროცესების, სტუდენტის უფლებებისა და მოვალეობების, ექსტრა-კურიკულარული აქტივობების შესახებ. სასწავლო განრიგის, სილაბუსებისა და შეფასებების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ელექტრონული სასწავლო პორტალისა და უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით. უნივერსიტეტის პერსონალი და კოორდინატორები რეგულარულად ურთიერთობენ სტუდენტებთან, აწვდიან სიახლეებს საუნივერსიტეტო ღონისძიებებზე, სტუმრებთან შეხვედრებზე, სპორტულ, აკადემიურ ღონისძიებებსა და გაცვლით პროგრამებზე.

პროგრამა სტუდენტებს აძლევს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში, ღონისძიებებში, შემოქმედებით აქტივობებში, კონფერენციებსა და კვლევითი სტიპენდიების მოპოვებაში მონაწილეობის უამრავ შესაძლებლობას. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებზე, რომლებიც შეესაბამება მათ საგანმანათლებლო და კვლევით მიზნებს. უფრო მეტიც, პროგრამა აერთიანებს საერთაშორისო ექსპერტებს პორტფოლიოს მიმოხილვაში, რაც სტუდენტებს სთავაზობს სტაჟირებისა და დასაქმების შესაძლებლობებს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პროგრამა აქტიურად უწყობს ხელს სტუდენტების მონაწილეობას საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, როგორცაა ERASMUS+ და ორმხრივი გაცვლითი პროგრამები. აუდიოვიზუალური და მედიახელოვნების საბაკალავრო პროგრამის 20-მდე სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო პარტნიორ უნივერსიტეტებში გაცვლით პროგრამებში. უნივერსიტეტი ასევე თანამშრომლობს ფონტის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტთან, რაც ხელს უწყობს "ჰოლანდიური დიზაინის გამოწვევასა" და სხვა სამუშაო შეხვედრებში მონაწილეობას. ეს ინიციატივები ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციას და ამდიდრებს სტუდენტების საგანმანათლებლო გამოცდილებას.

აკრედიტაციის სტანდარტებიდან, უნივერსიტეტის თვითშეფასების დოკუმენტიდან და ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული დაკვირვებებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ პროგრამა სრულად აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს. სტუდენტთა კონსულტირების და მხარდაჭერის, ინტეგრაციის ძალისხმევების, საერთაშორისო შესაძლებლობებისა და აკადემიური გაცვლითი პროგრამებისადმი უნივერსიტეტის ვალდებულება მეტყველებს სტუდენტზე ორიენტირებული და ჰოლისტური საგანმანათლებლო გამოცდილების უზრუნველსაყოფისადმი მის ერთგულებაზე. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან კიდევ ერთხელ ადასტურებს მის რელევანტურობას დადგენილ პროცედურებთან, გამჭვირვალობასთან და სტუდენტთა საჭიროებებთან. უნივერსიტეტის მუდმივი ძალისხმევა გააუმჯობესოს სტუდენტური მომსახურება და გამოხმაურების მექანიზმები ხელს უწყობს სწავლებისა და სწავლის პროცესის გაუმჯობესებას.

მთლიანობაში, პროგრამა გამოირჩევა დამხმარე სასწავლო გარემოზე ზრუნვით, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობით და სტუდენტების აკადემიური და პროფესიული წარმატებისათვის აუცილებელი ინსტრუმენტების უზრუნველყოფით. სტუდენტების დადებითი გამოხმაურება სამწლიანი პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით კიდევ უფრო ადასტურებს უნივერსიტეტის სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომას და სტუდენტების მოთხოვნებისადმი ადაპტირებადობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o ვიზუალური კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა;
- o თვითშეფასების ანგარიში;
- o გასაუბრებები;
- o საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის წესდება;
- o მემორანდუმები და ხელშეკრულებები დამსაქმებლებთან;
- o მემორანდუმები საერთაშორისო პარტნიორებთან;
- o კონსულტაციების განრიგი;
- o საგანმანათლებლო პროცესის რეგლამენტი;
- o სტუდენტების მობილობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- o ინფორმაცია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიღწევების შესახებ;
- o ელექტრონული მონაცემთა ბაზები;
- o უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

- o არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- o არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.1 სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

➤ სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტებსა და

- დოქტორანტებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებლად.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფარგლებში სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა საშუალებას იძლევა სწორად განახორციელონ სამეცნიერო ხელმძღვანელობა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრების/ დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების რაოდენობა	
მაგისტრანტთა/დოქტორანტთა რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
3.2. მაგისტრანტთა და	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტურ და ეფექტიან ფუნქციონირებას და დასახული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არსებული დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულია პროგრამის განხორციელებაში საქართველოს კანონმდებლობისა და GIPA-ს შიდა რეგულაციების შესაბამისად. აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმიანობის ანალიზმა დაადასტურა, რომ მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ფუნქციებსა და მოქმედ კანონმდებლობას. პერსონალის (აკადემიური და მოწვეული

პერსონალი) დატვირთვის სქემა ახლდება ყოველ სემესტრში, ითვალისწინებს საგანმანათლებლო და პრაქტიკულ საქმიანობას. დატვირთვების ანალიზი უზრუნველყოფს პროგრამის შეუფერხებელ განხორციელებას და პერსონალის მიერ პროგრამით დაკისრებული მოვალეობების ჯეროვან შესრულებას. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ სტუდენტებს ეძლევათ სხვადასხვა სახის ეფექტური კონსულტაცია. წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში რაოდენობრივი მაჩვენებლებით, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სხვადასხვა ასპექტში ჩატარებული კვლევები და მათი ანალიზი ცხადყოფს, რომ GIPA განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სტატისტიკური ინდიკატორების მოძიებას, მათ ჯეროვან დამუშავებას. ხოლო ანალიზის შედეგები გამოიყენება პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად და მისი განვითარებისათვის. პროგრამა თავს უყრის მაღალკვალიფიციურ აკადემიურ და მოწვეულ პროფესიონალს, რომელთა მუშაობას მხარს უჭერს მოქნილი და ეფექტიანი ადმინისტრაცია.

საბაკალავრო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების კვალიფიკაცია შეესაბამება მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებს. მათ გააჩნიათ სასწავლო პროცესის წარმართვისთვის საჭირო ყველა კომპეტენცია.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადეკვატურია სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების ჯეროვან შესრულებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მთელი გუნდის კეთილმოსურნეობა, თუ რამდენად კარგად ესმოდათ პროგრამის კონცეფცია და როგორი კადრების მიღება სურდათ სასწავლო კურსის დასრულებისას. მათ გადანაწილებული აქვთ როლები, თითქოს ემსახურებიან საერთო მიზანს, ესმით თავიანთი როლი საერთო სისტემაში და ხელმძღვანელობენ გუნდური მუშაობის პრინციპით.

დარგში წარმატებული, რეალიზებული პროფესორების გუნდის დახმარებით სტუდენტებს აქვთ წვდომა უახლეს ინფორმაციაზე და ინტერვიუს დროს აღნიშნეს თავიანთი პროგრამის დიდი უპირატესობა, რაც, მათი აზრით, არის დარგის წამყვანი სპეციალისტებით დაკომპლექტებული პროფესორთა გუნდი. უზრუნველყავით დარგის წარმატებული, აქტიური პროფესიონალების ჩართვა სასწავლო პროცესში და ექსტრა-კურსულარული აქტივობების ორგანიზებაში. პროგრამის ლიდერები პროგრამის ერთ-ერთ უპირატესობად მიიჩნევენ კრეატიულ ინდუსტრიასთან აუცილებელ თანამშრომლობას, რაც დადასტურდა დამსაქმებლებთან ინტერვიუებითაც.

პერსონალი შეირჩევა მათი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის მიხედვით, რაც დასტურდება მათი რეზიუმეებითა და გამოცდილებით.

საბაკალავრო პროგრამას ვიზუალური კომუნიკაცია (რეკლამისა და კომუნიკაციის დიზაინი) უძღვება სათანადოდ კვალიფიციური და გამოცდილი აკადემიური პერსონალი, ასევე პრაქტიკოსი მოწვეული ლექტორები.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალი ⁴	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის	მათ შორის, აფილირებული პერსონალი
--	--	---	---	----------------------------------

⁴ ძირითადი სასწავლო დარგის შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

			მქონე პერსონალი ⁵	
აკადემიური პერსონალის საერთო რაოდენობა	37	26	2	
- პროფესორი	5	3		3
- ასოცირებული პროფესორი	7	6	2	6
- ასისტენტ-პროფესორი	4	4		4
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	21	13		-
სამეცნიერო პერსონალი				-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- პირადი დოკუმენტაციის დამადასტურებელი - CV;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე შეფასებების შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის CV-ები;
- პერსონალის სამუშაო დატვირთვა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუების შედეგები.
-

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
------------	------------------------------	---------------------------------------	---	---------------------------

⁵ შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

4.1. ადამიანური რესურსები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
---------------------------------	---	--------------------------	--------------------------	--------------------------

4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

მაგისტრატურასა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და, საჭიროების შემთხვევაში, თანახელმძღვანელი/ თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება კვლევის სფეროში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები	მათ შორის, აფილირებული პერსონალი
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა			
პროფესორი:			
ასოცირებული პროფესორი			
ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- რეკომენდაციები, რომლებიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- უსდ ახორციელებს პროგრამის პერსონალის შეფასებას და რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. უფრო მეტიც, ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას გააჩნია აკადემიური პერსონალის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი, რომელიც მოიცავს შეფასების კონკრეტულ მეთოდებსა და ინსტრუმენტებს. აღნიშნული მექანიზმი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის კვლევასა და სწავლებასთან დაკავშირებული საქმიანობის შეფასებას, რომლის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას პერსონალის პროფესიული განვითარების, წახალისებისა და დაწინაურების მიზნით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის აქტივობები ფასდება როგორც სტუდენტების გამოკითხვით, ასევე პერსონალის თვითშეფასების კითხვარით, რომელიც მოიცავს სასწავლო და კვლევითი აქტივობების სხვადასხვა კომპონენტს, რაც მათ ეხმარება უკეთ გაიგონ პროფესიული განვითარებისა და შემდგომი პროგრესის სხვადასხვა ასპექტი. სტუდენტების კითხვარები მოიცავს კითხვებს თეორიული ცოდნის ხარისხის შემოწმებით ლექტორის პროფესიონალიზმის კრიტერიუმების, არგუმენტირებული დისკუსიის უნარების, პროდუქტიული სწავლის მეთოდის და ა.შ. დასადგენად. სხვა კითხვარები ეხება პროგრამის ხელმძღვანელებს, რომლებიც აანალიზებენ ლექტორების საქმიანობას, ან კითხვარებს თვითშეფასების პროცესისათვის.

პროგრამის აკადემიური პერსონალის აქტივობა საერთაშორისო კონფერენციებში, მონაწილეობა შემოქმედებით პროექტებში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე (მაგ. DesignScolio

Pop-up in Telliskivi, TAF Tbilisi Art Fair, Portfolio Review Tbilisi და ა.შ.). ასევე დადასტურებულია ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამისა და კომუნიკაციის დიზაინის) საბაკალავრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობა სამეცნიერო კრებულებსა და პუბლიკაციებში (მაგალითად, კინემატოგრაფიის საერთაშორისო სამეცნიერო საზაფხულო სკოლის სტატიების კრებულში). კულტურის პოლიტიკისა და უმაღლესი ხელოვნების განათლების სემინარებში: კანის 7 ოქროს მფლობელი სარეკლამო სააგენტო „ვოსხოდი“, თბილისი, საქართველო; სარეკლამო სტრატეგია - ნატალია ჩუიჩი, BBDO, თბილისი, საქართველო; სტრატეგია, დასახელება, კოპირაითინგი, დიზაინი და კრეატიულობა Wordshop-Communication Academy-ისა და ჰამბურგის Miami AD School-ის მონაწილეობით, სილნადი, საქართველო; სარეკლამო სტრატეგია, არტ მიმართულება და დიზაინი; BBDO. Design Depot Prague, McCann-ის მონაწილეობით, წინანდალი, საქართველო; ვიზუალური კომუნიკაციის (რეკლამისა და კომუნიკაციის დიზაინი) საბაკალავრო პროგრამის აკადემიური პერსონალის გუნდს აქვს ინტერნაციონალიზაციის გამოცდილება. უცხოელ კოლეგებთან ინტენსიური თანამშრომლობა ხელს უწყობს საუკეთესო პრაქტიკისა და მექანიზმების ჩამოყალიბებას სწავლების, კვლევისა და ორგანიზაციული მართვის მიმართულებით და საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას. პროგრამის ხელმძღვანელები და აკადემიური პერსონალი წელიწადში რამდენჯერმე მონაწილეობენ და/ან ესწრებიან სხვადასხვა გამოფენას, ფესტივალს, კვირეულს, როგორც მონაწილეები (შემოქმედებითი პროექტების წარმდგენები ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურსებში პროფესიულ კატეგორიაში), ასევე როგორც მომხსენებლები ან ჟიური.

AD BLACK SEA ყოველწლიური საერთაშორისო სარეკლამო ფესტივალი, ბათუმი. <http://adblacksea.com/> Young Lions Competition ყოველწლიური საერთაშორისო კონკურსი კრეატიულ კომუნიკაციებში, თბილისი. <https://www.canneslions.ge/> Cannes Lions ყოველწლიური შემოქმედების საერთაშორისო ფესტივალი, კანი. <https://www.canneslions.com/> EUROBEST-ის ყოველწლიური ევროპული შემოქმედებითი ფესტივალი, ლონდონი. <https://www.eurobest.com/> KIAF ყოველწლიური საერთაშორისო შემოქმედებითი ფესტივალი, კიევი. <http://kiaf.com.ua/en> EPICA Creative Awards ყოველწლიური საერთაშორისო ფესტივალი, პარიზი. <http://www.epica-awards.com/> ADC გლობალური ორგანიზაცია საერთაშორისო კონკურსი შემოქმედებით კომუნიკაციებში. <http://adcglobal.org/awards/adc-young-guns/> ვენეციის ხელოვნების საერთაშორისო ბიენალე <https://www.labiennale.org/en/art/> მილანის დიზაინის საერთაშორისო კვირეული <https://www.dezeen.com/eventsguide/milan-design-week-2023/> ტალინის დიზაინის საერთაშორისო ფესტივალი <https://www.disainioo.ee/> OFFF კრეატიულობის საერთაშორისო ფესტივალი, ბარსელონა <https://www.offf.barcelona/> FORWARD კრეატიულობის, დიზაინისა და კომუნიკაციების საერთაშორისო ფესტივალი ბერლინი/ ვენა <https://www.forward-festival.com/berlin/overview>

მათი მონაწილეობით შემოქმედებით ინდუსტრიაში ხორციელდება სამეცნიერო, შემოქმედებითი და სოციალური პროექტები. კრეატიულ პროექტებში მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე (მაგ. DesignScolio Pop-up in Telliskivi, TAF Tbilisi Art Fair, Portfolio Review Tbilisi და ა.შ.).

ყოველივე ეს მოწმობს, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს კომპეტენტური და კვალიფიციური კადრების ყოლაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;

- პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან;
- მემორანდუმები საერთაშორისო თანამშრომლობაზე.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო ინფრასტრუქტურით, სასწავლო სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უზრუნველყოფილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მათი მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისად (რეკომენდებულია მისი მოქნილობის გაუმჯობესება), რომელიც მოიცავს სააუდიტორიო ფონდს, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას, კაფეს, საინფორმაციო კომპიუტერულ ცენტრს, მოსწავლეთა რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის საუნივერსიტეტო ქსელებს. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმებამ დაადასტურა, რომ GIPA მუდმივად ზრუნავს ინფრასტრუქტურის მოდერნიზებაზე, განსაკუთრებით საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების კუთხით. პროგრამის პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ დაწესებულების ზემოაღნიშნული რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სტუდენტებისათვის, ისე პროფესორებისთვის და მოწვეული ლექტორებისთვის და ყველა მხარე არა მხოლოდ იცნობს მათ შესაძლებლობებს და გამოყენების წესებს, არამედ აქტიურად იყენებს მათ.

შემოწმების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა გამოავლინა შშმ პირებისთვის შეუფერებელი ინფრასტრუქტურა.

ასევე სასურველი იქნებოდა ვიზუალურად შესაბამისი გარემოსა და ბიბლიოთეკაში, ადგილზე გაცილებით მეტი დარგობრივი ლიტერატურის ქონა.

საერთო ჯამში, უნივერსიტეტი აკმაყოფილებს სტუდენტის საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ფაკულტეტზე დაკვირვება
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ ლექტორებთან
- მემორანდუმები საერთაშორისო თანამშრომლობაზე

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- საჭიროა მოხდეს შემდგომი გაუმჯობესებები ფიზიკური რესურსების ხელმისაწვდომობის კუთხით, რათა სრულად ჩამოყალიბდეს ინკლუზიურობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.3. მატერიალური რესურსები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) არ არის სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირი. ამიტომ, მისი მიზანი არ არის მოგების მიღება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი შემოსავალი მიმართულია იდეალური (საგანმანათლებლო) მიზნების განხორციელებაზე.

ინსტიტუტის შემოსავლის წყაროებია:

- სწავლის გადასახადი;

- გრანტები;
- შემოსავალი საკონსულტაციო და კორპორატიული ტრენინგებიდან, მოკლევადიანი დეპოზიტებიდან და სხვა წყაროებიდან.

აკრედიტაციისათვის წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება თვითდაფინანსების საფუძველზე, რაც მიიღწევა სწავლის საფასურის მეშვეობით. ამ პროგრამის ბიუჯეტი გამჭვირვალეა და მოიცავს შემდეგ პროგრამულ ხარჯებს:

- პროგრამის შემოსავალი სასწავლო კურსების მიხედვით;
- პროგრამის ადმინისტრაციული ხარჯები;
- ხარჯები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალისათვის;
- იმიჯის ხარჯები;
- საგანმანათლებლო და სხვა ხარჯები.

ინტერვიუში აღინიშნა, რომ უნივერსიტეტი აფინანსებს სხვადასხვა კვლევით და სამეცნიერო აქტივობას: აკადემიურ პროექტებს, კვლევით გრანტებს, საველე ტურებს, ელექტრონული სახელმძღვანელოების შექმნას და გამოცემას, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას და ა.შ. თუმცა ეს დეტალები პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტში არ არის მითითებული. ამის გამო ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის დოკუმენტი. უნივერსიტეტის ბიუჯეტი მოიცავს სტუდენტების მხარდაჭერის ფონდების, საქონლისა და მომსახურების, საზოგადოებასთან ურთიერთობის, სწავლის, კვლევის, ბიბლიოთეკის და სხვა ხარჯებს. მიუხედავად ამისა, დაფიქსირდა, რომ ორმა პროფესორმა გამოიყენა ეს შესაძლებლობა და აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ უნივერსიტეტმა ფინანსური დახმარება გაუწია მათ კვლევით საქმიანობას.

კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეუძლია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს გათვალისწინებული მისი წესდებით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მეორე ნაწილი). ეს ნიშნავს, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირი მოქმედებს ზოგად სამართლებრივ ფარგლებში. შესაბამისად, ვინაიდან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ეკუთვნის კერძო სამართლის იურიდიულ პირს, ამიტომ მასზე ვრცელდება დებულება ზოგადი სამართლებრივი ფარგლების შესახებ. ამ შემთხვევაში, ვინაიდან საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ლოგიკურად მოქმედებს ზოგად სამართლებრივ ფარგლებში. ამასთან, მოთხოვნილი ცენტრალური ბიუჯეტის დოკუმენტიდან ირკვევა, რომ გარკვეული სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფის აზრით, სასურველია, რომ პროგრამული ბიუჯეტი იყოს უფრო დეტალური. უნივერსიტეტი მზად არის ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o საბაკალავრო პროგრამა;
- o თვითშეფასების ანგარიში;
- o პროგრამის საბიუჯეტო დოკუმენტი;
- o უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- o პროფესორებთან ინტერვიუების შედეგები;
- o ინსტიტუტის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- o არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

o სასურველია ბიუჯეტის ამსახველი დოკუმენტი უფრო დეტალურად იყოს გაწერილი და მოიცავდეს საჭირო კვლევითი საქმიანობის ხარჯებს (სამეცნიერო გრანტები, კვლევითი პროექტები, სამეცნიერო მისიები და ა.შ.).

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტთან

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. შესაბამისი მონაცემები გროვდება, ანალიზდება და გამოიყენება ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებისა და პროგრამის განვითარებისათვის.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის სამსახურთან/თანამშრომლებთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების პროცესის განხორციელების დროს.

პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი რეგულარულად აფასებს საგანმანათლებლო პროგრამებსა და სასწავლო პროცესს. შიდა ხარისხის შეფასების ფარგლებში ფასდება შემდეგი აქტივობები:

- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა და პროგრამის ინდივიდუალური კომპონენტები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუშაობის ეფექტიანობა;
- სასწავლო გარემო;
- სტუდენტების აკადემიური მოსწრება;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები და სხვა კომპონენტები.

სასწავლო პროცესის შეფასება გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული ხარვეზების გამოვლენას და მათი აღმოფხვრის გზების მოძიებას.

სასწავლო პროცესის შეფასება მოიცავს:

- ❖ განათლების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და გამოყენებას;
- ❖ განათლების ხარისხის შეფასების მიმართულებებსა და საშუალებებს;
- ❖ სასწავლო პროცესის შიდა შეფასების შედეგების ანალიზსა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ძირითადი მიზნებია სასწავლო პროცესის უწყვეტი გაუმჯობესება, ასევე ხარისხის კულტურის გაძლიერება და განვითარება. უნივერსიტეტმა შეიმუშავა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებული რეგულაციები, მათი განხილვის პროცედურები, პროგრამებში დაინტერესებული პირების მოზიდვის მექანიზმები (გამოკითხვები, შეხვედრები ფოკუს ჯგუფებთან და ა.შ.).

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საქმიანობა ეფუძნება ციკლს „**დაგეგმე, გააკეთე, შეამოწმე, იმოქმედე**“. შესაბამისად, უნივერსიტეტი იყენებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება-დამტკიცების, სასწავლო გეგმის მიხედვით განხორციელების, მონიტორინგის, შედეგების შეფასება-ანალიზის, გადახედვისა და საჭიროებისამებრ ცვლილებების შეტანის მექანიზმებს.

- (1) უპირველეს ყოვლისა, დაგეგმილია გასატარებელი ღონისძიებები, შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების კრიტერიუმები, ღონისძიებების განხორციელების სიხშირე, ასევე პირები, რომლებიც უნდა იყვნენ შემსრულებლები. ამ ეტაპის მიზანია სწავლების ხარისხის შეფასება;
- (2) შემდეგ, დაგეგმილი ღონისძიებები ხორციელდება შესაბამისი მეთოდოლოგიისა და შინაგანაწესის მიხედვით;
- (3) ამ ეტაპს მოსდევს შესრულებული სამუშაოს შეფასება, ანალიზი, გაუმჯობესება და ძლიერი მხარეების გამოვლენა. მიღებულ შედეგებს აფასებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩართულობით, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელების მონაწილეობით;
- (4) შემდეგი ეტაპი მოიცავს პროგრამის განვითარებას არსებული მონაცემების ფარგლებში, ხარისხის ამაღლებისთვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავებას და სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროცესის შიდა შეფასება გულისხმობს როგორც სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასებას და ანალიზს, ასევე შეფასებასა და ანალიზს

სასწავლო პროცესის ან მისი ნაწილის დასრულების შემდეგ. განხილული დოკუმენტაცია და ინტერვიუები ადასტურებს, რომ პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან. ფაქტიურად, პროგრამის შეფასება და ინსტრუმენტების შემუშავება განიხილება თანამშრომლობით პროცესად. როგორც წესი, პროგრამის პერსონალს პროგრამის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობის შესახებ აცნობებს უშუალოდ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი. სკოლის აკადემიური საბჭო განიხილავს რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში იღებს ზომებს.

როგორც წესი, თვითშეფასების პროცესი რთულია, რადგან ის მოიცავს როგორც ხელმისაწვდომი მონაცემების დამუშავებას და ანალიზს, ასევე დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობას (პერსონალის გამოკითხვები, მსგავსი საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირება და შესწავლა და ა.შ.). ადმინისტრაციული პერსონალი ჩვეულებრივ ხვდება აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. შეხვედრებზე ადგენენ პროგრამის გასაუმჯობესებელ მხარეებს და გასცემენ რეკომენდაციებს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ „**დამოუკიდებელი ექსპერტის**“ **მონაწილეობა თვითშეფასების ჯგუფში ძალიან კარგი პრაქტიკაა.** მოგვიანებით ასეთი დამოუკიდებელი ექსპერტი გახდა დაწესებულებაში მოწვეული ლექტორი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მისი დამოუკიდებელ (გარე) ექსპერტად ყოფნა თვითშეფასების პროცესში, კარგი ფაქტია. ამრიგად, თვითშეფასება ავლენს პროგრამის ძლიერ მხარეებს; შიდა ხარისხის სამსახური პროგრამაში მონაწილე პერსონალთან ერთად გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებას პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ვიზუალური კომუნიკაცია (რეკლამა და კომუნიკაციის დიზაინი);
 - საგანმანათლებლო პროცესის მართვის რეგულაციები;
 - სასწავლო კურსების სილაბუსები;
 - ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- ვებ-გვერდი: www.afgip ;
- შიდა ხარისხის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებები;
 - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
 - თვითშეფასების ოქმები;
 - ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	✗	☐	☐	☐

5.2 ხარისხის გარე შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №65/ნ ბრძანებით გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების გარე მექანიზმები. საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასების მექანიზმები ეფუძნება „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №99/ნ ბრძანებას.

დოკუმენტაციიდან გამომდინარეობს, რომ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მიზნებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შიდა შეფასების მექანიზმების გარდა იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებსაც. სწორედ ამ თვალსაზრისით, უნივერსიტეტმა წარმოადგინა ორი ქართველი დამსაქმებლის შეფასება გარე კოლეგიალური განხილვის მიზნით. უნივერსიტეტი იყენებს ქართველ კურსდამთავრებულთა გამოხმაურებას, რომლებიც მუშაობენ ევროპის წამყვან სააგენტოებში, აქვთ საერთაშორისო ჯილდოები და იცნობენ საგანმანათლებლო პროგრამებს. მათი შეფასებები ძირითადად დადებითია, რაც, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა გარკვეული რჩევების/წინადადებების მიღება.

გარდა ამისა, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა მოიძია და შეისწავლა მსგავსი უცხოური საგანმანათლებლო პროგრამები, საერთაშორისო გამოცდილება და მათი გათვალისწინებით ჩამოაყალიბა აკრედიტაციისთვის წარდგენილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- o საბაკალავრო პროგრამა;
- o თვითშეფასების ანგარიში;
- o გარე შეფასებები;
- o მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზი;
- o ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

- o არ არის მითითებული რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

ო სასურველია, რომ გარე შეფასების დოკუმენტები ასახავდეს პროგრამის განვითარებისაკენ მიმართულ რეკომენდაციებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.2. ხარისხის გარე შეფასება	✗	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ტარდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით მონაცემთა სისტემატური შეგროვების, შესწავლისა და ანალიზის გზით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის, ასევე სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუში დადასტურდა, რომ პროფესორებმა სამუშაო პროცესში გასცეს რეკომენდაციები სხვადასხვა მიმართულებით. მაგალითად, იყო შემთხვევები, როდესაც ერთ-ერთი არჩევითი საგნის მასწავლებელმა სთხოვა თავისი კურსის სამ ნაწილად დაყოფა, ასევე სააუდიტორიო საათების დაზუსტება. ამასთან, ერთ-ერთმა მასწავლებელმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსი „კიბერნეტიკური ტექნოლოგიები“ თავდაპირველად ისწავლებოდა პირველ სემესტრში, თუმცა, მისი აზრით, ეს საგანი პირველი სემესტრისათვის რთული იყო და უკეთესი იქნებოდა ეს კურსი ესწავლებინათ მოგვიანებით. შედეგად, ეს კურსი შეტანილ იქნა მესამე სემესტრის კურსების ნუსხაში.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში ხდება სასწავლო პროცესის შეფასება. უმთავრესია სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა და გაუმჯობესება, ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენება. პროცესის შიდა შეფასება მიზნად ისახავს პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების ან ხარვეზების იდენტიფიცირებას და შესაბამისი წინადადებების შემუშავებას. მათ საფუძველზე მოხდება პროგრამის ხარვეზების აღმოფხვრა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა. ამრიგად, შიდა ხარისხის სამსახური თანამშრომლობს პროგრამაში მონაწილე, თვითშეფასების პროცესში მომუშავე პერსონალთან და ზრუნავს პროგრამის გაუმჯობესებაზე.

პროგრამის შეფასების პროცესში ჩართული არიან დაინტერესებული მხარეები: სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სხვა. როგორც ინტერვიუში ითქვა, პროგრამა უნივერსიტეტში

ინიცირებულია „ქვემოდან ზევით“, ანუ ინიციატივა წამოვიდა სკოლიდან, ხოლო შემდეგ შეფასდა და გაანალიზდა უფრო მაღალი სტრუქტურული ერთეულების მიერ.

ინსტიტუტს აქვს საგანმანათლებლო პროცესის რეგლამენტი, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო პროცესში განათლების ხარისხის შეფასების სხვადასხვა ფორმის გამოყენებას:

- გარე ფაქტორების შეფასება-ანალიზს;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზს;
- სტუდენტების მიერ პედაგოგების შეფასებას;
- სტუდენტებისა და მათი ხელმძღვანელის მიერ პრაქტიკული ნაწილის განხორციელების შეფასებას;
- სტუდენტის პროგრესის მონიტორინგსა და შეფასებას და სხვა.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სტუდენტების მიერ პედაგოგების ანონიმური შეფასების წესი, ასევე პროფესორების მიერ ჯგუფის ხარისხობრივი შეფასების მექანიზმი; გამოიყენება დამახასიათებელი შინაარსის კითხვარი, რომელიც ინტეგრირებულია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლის პროგრამის ხელმძღვანელები და ხარისხის ხელმძღვანელი ყოველწლიურად ხვდებიან სტუდენტებსა და პედაგოგებს. შეხვედრებზე განიხილება მიმდინარე სასწავლო პროცესი, პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, საგანმანათლებლო კურსების შინაარსი, განსახორციელებელი ცვლილებები და სხვა.

ამავდროულად, კონკურენტი უნივერსიტეტებისა და მათი საგანმანათლებლო პროგრამების შესწავლისას ყურადღება ექცევა კურიკულუმს, სტიპენდიის პოლიტიკას, ინტერნაციონალიზაციას და სხვა. მიღებული შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად და განსავითარებლად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს პოტენციურ დამსაქმებლებთან მათი საჭიროებების დასადგენად. სააკრედიტაციოდ წარდგენილი საბაკალავრო პროგრამის შემუშავების მიზნით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები როგორც აკადემიურ პერსონალთან, ისე მოწვეულ პოტენციურ დამსაქმებლებთან. ამას მოჰყვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის ფორმირება და საგანმანათლებლო კომპონენტების ფორმირება სემესტრების მიხედვით.

მნიშვნელოვანია პროგრამის შედარება მსგავს ადგილობრივ და უცხოურ საგანმანათლებლო პროგრამებთან (Miami Ad School Portfolio Program „თანამშრომლობა ბიზნესის ადმინისტრირების ხელოვნების მიმართულებასთან/კომუნიკაციის დიზაინთან“, Nova Academy di Belle Arti - ხელოვნების ბაკალავრის ხარისხი გრაფიკულ დიზაინსა და ხელოვნების მიმართულებაში; უნივერსიტეტი the Arts London – ლონდონის კომუნიკაციების კოლეჯი -ბაკალავრის ხარისხი გრაფიკიასა და მედიის დიზაინში; სან-ფრანცისკოს სამხატვრო აკადემიის უნივერსიტეტი - რეკლამის სკოლა, სახვითი ხელოვნების ბაკალავრი რეკლამაში და ა.შ.). მათი შესწავლის შედეგად გამოიკვეთა თანამედროვე მოთხოვნები, რომელთა შესაბამისადაც შეიძლება აგებულიყო წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა. ამ პროცესში აქცენტი კეთდებოდა კურიკულუმზე, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების ჩამოყალიბებაზე, პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ფორმირებაზე, ინტერნაციონალიზაციაზე და სხვა კომპონენტებზე. მსგავსი პროგრამების შესწავლის შედეგად მონაცემები შეგროვდა, გაანალიზდა და საფუძვლად დაედო ვიზუალური კომუნიკაციების (რეკლამისა და კომუნიკაციის დიზაინის) საბაკალავრო პროგრამაში ცვლილებებს. იმის გამო, რომ პროგრამა ახალია, ფიზიკურად შეუძლებელია იმის შეფასება, თუ როგორ ხორციელდება ამ პროგრამის ფარგლებში მონიტორინგის სხვა აქტივობები. თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა გამოთქვეს მზადყოფნა,

თვალყური ადევნონ პროგრამის პროგრესისა და განხორციელების დინამიკას და საჭიროებისამებრ შეიტანონ გარკვეული ცვლილებები პროგრამაში.

მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აკრედიტაციისთვის წარდგენილი საბაკალავრო პროგრამის სწავლის მეოთხე შედეგის ბოლო სიტყვები („აყალბებს ინოვაციურ მულტიმედიურ მიდგომებს თანამედროვე ტენდენციებთან შესაბამისობაში“) უფრო მეტად მიეკუთვნება „უნარების“ კატეგორიას, ვიდრე „ცოდნა-გაცნობიერებას“. პროგრამის ლიდერებმა განაცხადეს, რომ აქცენტი გააკეთეს მაღალ დონეზე, რაც პროგრამაში ყველაზე მნიშვნელოვანი სწავლის შედეგია; ასევე, პროგრამის ერთ-ერთმა ლიდერმა აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული სიტყვების „უნარების“ წრეში მოთავსება ძალიან კარგი და მისაღები შენიშვნაა. შესაბამისად, დაფიქსირდა უნივერსიტეტის მიერ ამ შენიშვნის მიღება და დადებითად შეფასდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ამასთან, გარდა იმისა, რაც მითითებული იყო უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციაში, ვიზიტის დღეს ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ნაწილი არის „ცოდნა“ და არა „უნარები“, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება „პროგრამის სწავლის შედეგი“ მაგისტრატურის დონეზე. თუმცა, სწავლის შედეგის ფორმულირება „აყალიბებს ინოვაციურ მულტიმედიურ მიდგომებს“ განეკუთვნება მაგისტრატურის სწავლის შედეგს. გარდა ამისა, დარგობრივი მახასიათებლიდან ირკვევა, რომ „წვლილის შეტანა ინდუსტრიის ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში“ შეიძლება მოიძებნოს „სწავლის შედეგებში“ სამაგისტრო დონეზე. ეს, დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, უფრო მაღალი სტანდარტია, ვიდრე საბაკალავრო პროგრამის მოთხოვნები. თუმცა, GIPA- ს მიერ წარმოდგენილი ბაკალავრიატის მე-10 სწავლის შედეგი შეიცავს პუნქტს „ხელს უწყობს რეკლამის განვითარებას“. დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით, იგი განეკუთვნება სამაგისტრო საფეხურს. ამიტომ, საბაკალავრო პროგრამის „სწავლის შედეგებში“ შესაძლოა საჭირო გახდეს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის „სწავლის შედეგების“ გამიჯვნა.

(იხ. კომპონენტი 1.2). ასევე, აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგად გაჩნდა კითხვები, თუ რა სახის მხარდაჭერას იღებენ ისინი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისაგან, რაზეც აკადემიური პერსონალის მხოლოდ ერთმა წარმომადგენელმა გასცა ძალიან ზოგადი პასუხი. გარდა ამისა, ზოგიერთი კურსის სწავლების მეთოდებში აუცილებელია გარკვეული ცვლილებების შეტანა. მაგალითად, **„ვიზუალური თხრობის“ კურსის სილაბუსში არის „ცოდნის ტესტი“, როგორც სწავლების ფორმა და მეთოდი**, მაგრამ ამ მეთოდს აქვს გაურკვეველი შინაარსი. ამ მეთოდის დასახელება უნდა დაზუსტდეს. ანალოგიურად, „ხატვის“ კურსის სილაბუსში **„სწავლების ფორმებად და მეთოდებად“ განიხილება „თეორიული მასალა აქტუალურ თემაზე“**, „ახსნის მეთოდი“, „ჯგუფში შემოქმედებითი პრაქტიკული მუშაობა“, „ცოდნის ტესტირება“. კურსის „ვიზუალური ენა ნაწილი 1“ სილაბუსში სწავლების მეთოდებს შორის „ცოდნისა და უნარების ტესტი“, „შემოქმედებითი ამოცანების შესრულება“, „შუალედური და საბოლოო პროექტების შესრულება“ წარმოდგენილია „ცოდნისა და უნარების ტესტის“ ქვეშ. გარდა ამისა, „სწავლების ფორმები და მეთოდები“ ასახავს „შემენილი ცოდნის შემოწმებას და დამტკიცებას“, მათ შორის ქვიზს, პრეზენტაციას და ანალიტიკურ ესსეს „მსოფლიო ხელოვნების“ სასწავლო კურსის სილაბუსში. თუმცა, ეს კომპონენტები შეფასების მეთოდებია. მაგალითად, ვიზუალური კომუნიკაციის/მედია ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებში „ქვიზი“ ლოგიკურად ჩამოთვლილია შეფასების მეთოდებს შორის (იხ. კომპონენტი 2.3). შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ზემოაღნიშნულ ნაწილში საჭირო იყო უფრო მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ამ საკითხებთან დაკავშირებით ხარისხის მონიტორინგის გაძლიერება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საბაკალავრო პროგრამა ვიზუალური კომუნიკაცია (რეკლამა და კომუნიკაციის დიზაინი);
- ანალოგიური პროგრამების ანალიზი;
- ინტერვიუების შედეგები აკადემიურ პერსონალთან;
- თვითშეფასების ოქმები;
- სილაბუსები;
- სტუდენტთა მისწრების ანალიზი და გამოკითხვის შედეგები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- დარგობრივი მახასიათებლები;
- ლექციის მონიტორინგის ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვის ანალიზი;
- შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებლებთან შეხვედრა;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ხარისხის კონტროლის ღონისძიებების გაძლიერება პროგრამის გარკვეული სფეროების გასაუმჯობესებლად, როგორცაა: პროგრამის ზოგიერთი სწავლის შედეგის დადგენა, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან უფრო თანამშრომლობითი პროცესების წარმართვა, სწავლების მეთოდების სათანადო გამოყენება და მათი გამოყოფა შეფასების მეთოდებისგან და ა.შ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- არ არის მითითებული

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის შესაბამისობა კომპონენტთან

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

შესაბამისობა პროგრამის სტანდარტებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	✗
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	<input type="checkbox"/>
	არ შეესაბამება მოთხოვნებს	<input type="checkbox"/>

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: ა(ა)იპ - ჯიპა -საქართველოს საზიგადოებრივ საქმეთა ინდტიტუტი

უმალესი განათლების პროგრამის დასახელება, დონე: ვიზუალური კომუნიკაცია (რეკლამა და საკომუნიკაციო დიზაინი), ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა.	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე
კოსტას მანტზალოსი,
აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები

ხათუნა ხაბულიანი, ხელმოწერა

ანა წერეთელი,

მიხეილ ბიჭია, ხელმოწერა
ნინო ჯავახიშვილი.